1877—1895

№ 245
შაბათი, 11 ნოემბერი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 245
შაბათი, 11 ნოემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ტფილისის საკრებულო“ დარბაზში
შაბათს, 11 ნოემბერს, გაიმართება
## კონცერტი
დების რედერებისა
როზალია—ფორტეპიანო, სოფიო—სკრიპკა, ლოლა—ალტი და ემილია—ვიოლონჩელი. დანარჩენი ბილეთები და პროგრამა ისყიდება მირიმანიანის მუზიკალურს დეპოში, სასახლეს ქუჩა.
(3—6—3)

რადგან 29 ოქტომბერს არ შესდგა
### საგანგებო კრება
### წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა
წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, ამიტომ, თანახმად საზოგადოების წესდების § 15-ისა, იგი ხელ-მეორედ დანიშნულ იქმნა 13 გიორგობისთვეს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. განსახილველია შემდეგი საგნები:

1, მოხსენება გამგეობისა დასამატებელის ხარჯების გადადების შესახებ.

2, არჩევანი კომისიისა, რომელმაც უნდა გამოძებნოს საშუალებანი ახსლანდელის სკოლების გასაუმჯობესებლად და ახლების დასაარსებლად.

3, არჩევანი სარევიზიო კომისიის-წევრთა შესამოწმებლად მიმდინარე წლის ანგარიშისა

და 3, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.
(3—3)

გამგე კომიტეტს „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ აქვს პატივი ამით აუწყოს წევრთა ამა საზოგადოებისას, რომ საგანგებო საზოგადო კრება წევრთა დანიშნულია ამ წლის 16 დეკემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ (თუ სად იქნება კრება ამაზედ განსაკუთრებითი განცხადება იქნება).

განსახილველი საგნები:

1) გურგინბეკოვის სახლის სყიდვის შესახებ, სადაც ამ ჟამად იმყოფება სათავად-აზნაურო სკოლა.

2) განხილვა პროექტებისა, რომელიც წარმოუდგინა უკანასკნელ წლიურ საზოგადო კრებას სათავად-აზნაურო სკოლის ტიპის შესახებ დანიშნულმა კომისიამ

და 3) მოხსნება გამგე კომიტეტისა იმ საშუალებებზედ, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელი იქმნება საზოგადოების ვალის მალე გარდახდა.
(4—1).

## ახალი ამბავი

—

*** კავკასიის რკინის გზის დაზიანებულ სადგურებიდგან იწერებიან: რიონსა და ყვირილას შუა მიმოსვლა უკვე დაიწყო; მხოლოდ მგზავრთ ერთი მატარებლიდგან მეორეში უხდებათ გადასხდომა, რადგანაც ზოგიერთა ადგილები ფეხით უნდა გაიარონ.

ახალ-სენაკსა და ფოთს შუა დღის მატარებლებმა დაიწყეს მუშაობა. მგზავრთ გადასხდომა 26 და 27 ვერსზედ უხდებათ.

ქუთაისსა და სადგ. ტყიბულს შუა მატარებლებმა დაიწყეს სიარული.

*** ამ სამის დღის წინად ჩვენ სხვა ადგილობრივ გაზეთებთან ერთად გადმოვბეჭდეთ „ჩერნომ. ვესტნიკის“ ცნობა, ვითომც ყვირილის ხიდის ჩანგრევამ იმსხვერპლა რამდენიმე კაცი. გუშინ რკინის გზის მმართველობამ დასტამბა გაზეთ „ტიფლისტ.-“ში შენიშვნა, რომლით „ჩერ. ვესტ.“-ის ცნობას სრულიად უარჰყოფს, როგორც მოგონილს ამბავს. «იმ 80 მგზავრიდგან (და არა 120, როგორც „ჩერნომ. ვესტ“. სწერდა), რომელნიც № 1 მატარებლით მიდიოდნენო, ამბობს მმართველობის შენიშვნა, 60 მგზავრი მშვიდობით გავიდა ფეხით ხიდზედ; დანარჩენი 20 მგზავრი ხიდზედ აღარ გაუშვა იქ მყოფმა ინჟენერმა, რადგანაც შეამჩნია, რომ ხიდი მეტად დაზიანებული იყო. 20 მგზავრი დააბრუნეს უკან სვირში და მხოლოდ მეორე დღეს, ესე იგი 1 ნოემბერს, ნავებით გადიყვანეს მეორე ნაპირზედ.

იმ ცნობებიდან, რომელნიც რკინის გზის მმართველობას აქვს ხელში, სჩანს, რომ უბედურება უკანასკნელ წყალ-დიდობის დროს მხოლოდ მატარებლის № 49 კონდუქტორთ შეეხებათ: სამი კონდუქტორი დაშავდა, ერთი მათგანი კიდევაც მოკვდა“.

*** ის იყო გასწმინდეს გზა ლარსსა და ყაზიბეგს შუა 8 ნოემბერს და ფოსტამ სიარული იწყო, რომ იმავე დღეს მეორედ ჩამოწვა მიწის ზვავი და გზა ხელ-ახლად შეიკრა. მუშები იმავე დღეს გაგზავნეს. გზა მზად იქნება დღეს, 11 ნოემბრისათვის.

*** როგორც შევიტყეთ, გაზეთ „მწყემსი“-ს ასოთ-ამწყობლებს დაუარსებიათ თავიანთი საკუთარი სტამბა. იმედია, სხვა ასოთ-ამწყობლებიც ეცდებიან თავი დააღწიონ სტამბის მეპატრონეთა ბრჭყალებს და თავიანთის ნაშრომით თვითონვე გაიხარონ.

*** სხვა-და სხვა ადგილებიდამ საყვედურს გვწერენ და გვითვლიან—მოსალოცავი დეპეშები გამოვგზავნეთო თავ. რაფიელ ერისთავის იუბილეს გამო და „ივერიის“ სიაში აღნიშნული არ იყოო. საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ის დეპეშები,

## ფელეტონი

### ილიკოს ნაამბობი.

— გიკვირთ განა ჩემი დაღვრემილი ხასიათი? დაიწყო ილიკომ. მაგრამ დამერწმუნეთ, თქვენც რომ გამოგეცადათ ის, რაც მე გამოვცადე, იქნება ის გონებაც აღარ შეგრჩენოდათ, რაც მე შემრჩა. დიაღ, ყმაწვილებო, ძნელია ისეთი უბედურობის ატანა, რაც მე ავიტანე, მაგრამ მერჩივნა შემდეგ აღარ მეცოცხლა, ან რაღა სასიცოცხლო-ღა ვიყავი! თუ კაცს ქვეყნად სასიცოცხლო აღარა აქვს-რა, თუ კაცი თავისს თავს მარტოდა ჰგრძნობს, სჯობს, ჩემის ფიქრით, აღარ იცოცხლოს; ან რაღა სიცოცხლე იქნება მისი სიცოცხლე!

— თქვენ რას იტყვით, ყმაწვილებო, ამაზედ, მოგვიბრუნდა და შეგვეკითხა ჩვენ, ე. ი. სამს კაცს, რომელნიც გულმოდგინედ ვუსმენდით ილიკოს...

— რასაკვირველია, მიუგო ერთმა.

— არა, ილიკო, მიუგო მეორემ, მე მაგ აზრზე არ გეთანხმები; შეიძლება კაცმა სუყველაფერი დაჰკარგოს, მაგრამ შენ ხომ სუყველაფერი არ დაგიკარგავს? შენი სიცოცხლე შეადგენს ერთს გაუთავებელს ძაფს შრომისას და თავ-განწირვას სამშობლოსათვის; მაშასადამე ყოფილა [illegible] საც შეუკავებიხარ ამ სოფლად.

— მართალია, ყმაწვილებო, დაიწყო ისევ ილიკომ, ჩემთვის დარჩა ერთი საგანი კიდევ, რომელსაც რაცკი შემეძლო, რასაკვირველია, ვემსახურე. და მადლობა ღმერთს! აი, მე უკვე დავბერდი, ცალი ფეხი საფლავში მიდგა და დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოვკვდები და განვშორდები საქაოს, სადაც ამდენი ტანჯვა გამოვიარე.

— ოხ! რა ძნელია, როდესაც სიცოცხლით სავსე ახალგაზდა ჭაბუკს, გამსჭვალულს პატიოსნურის აზრებით და წმიდა გრძნობებით ეწამლება სამუდამოდ ცხოვრება! ყური მიგდეთ: მე გიამბობთ ჩემს თავს-გადასავალს და მაშინ დარწმუნდებით, რომ ჩემი სამდურავი ბედისა უსაფუძვლო არ არის.

— მე უმაღლესი სასწავლებელი გავათავე რუსეთში და აღგზნებული სამშობლოს სიყვარულით, მისთვის სასამსახუროდ მომზადებული დავბრუნდი ჩემს მიწა-წყალში, რომ ჯანი და ღონე შემეწირა მისთვის. მე ვგრძნობდი ჩემში ძალას, ვგრძნობდი, რომ შემეძლო საზოგადო ასპარეზზედ ეს ძალა სამშობლოსთვის ფიანდაზად გამეშალა და მართლაც ჩემი წინად-გრძნობა არ მოსტყუვდა! მე დაბრუნებისათანავე მივიქციე საზოგადოების ყურადღება და ეს ჩემთვის, სწორე მოგახსენოთ, ბედნიერებაზედ უფრო დიდი იყო! ჩემი თავმოყვარეობა ცოტათი მაინც, თუ სულ არა, დაკმაყოფილდა, რადგანაც ვხედავდი, რომ ჩემი შრომა, ჩემი ჯაფა უნაყოფო არ იყო. ამ ჩემმა სახელმა და საზოგადოების ყურად- [illegible] თა შორის, მე გავიცანი და არ ვიცი რა მიზეზით, დავუახლოვდი ერთს კაცს, რომლის ვინაობაც თქვენთვის საჭირო არ არის. მე და მის შორის საერთო არაფერი იყო. იგი მდიდარი იყო და ცხოვრების საგნად მარტო სიამოვნება ჰქონდა. არშიყობა, ნადირობა, ჯირითი და სხვა ამგვარი თავ-გასართობი იყო იმისი წმიდათა-წმიდა.

ეს კაცი,—ვუწოდოთ დათიკო,—ძლიერ თანაგრძნობით მეკიდებოდა და, როგორც მიფიცავდა, ძლიერაც ვუყვარდი. მეც, სწორე მოგახსენოთ, ვუყურებდი მას, როგორც მეგობარს. გარეგანი მისი სილამაზე, სიცოცხლით სავსე თვალები, მიხვრა-მოხვრა მომწონდა. ხასიათისა-კი რა მოგახსენოთ. დათიკო დამიახლოვდა, როგორც ძმა და არა როგორც მხოლოდ მეგობარი.

— იგი უკვე ცოლიანი იყო...

— ცოლიანი? გავიკვირვეთ ჩვენ და გაშტერებით დავუწყეთ ილიკოს ყურება...

— დიაღ, ცოლიანი, თუმცა სხვა ქალების იმ გვარივე მოარშიყე იყო, როგორც წინად.

დათიკო სრულებით ყურადღებას არ აქცევდა ნუცას, თავისს ცოლსა. იგი უფრო ცხენებს შესტრფოდა, ვიდრე თავისს ლამაზსა და ძლიერაც ლამაზს ნუცას. სულ არ გასულიყო ჯვარის წერის შემდეგ ერთი წელიწადი და დათიკომ გული აიცრუა ნუცაზედ. ნუცა-კი სულ სხვა ნაირი ხასიათისა იყო. იგი იყო შექმნილი სიყვარულისათვის, სწყუროდა სიყვარული. საყვარელ არსებისათვის სუყველაფერს შესწირავდა; მისი თვა- [illegible] და მისი სანდომიანი ტანი მნახველს იზიდავდა. ნუცა მართლა რომ განხორციელებული სიყვარული იყო. მისი მნახველი მყისვე დარწმუნდებოდა, რომ მას შეუძლიან მხურვალე სიყვარული... აქ ილიკო გაჩუმდა და თავი ჩაჰკიდა... ჩვენ მოუთმენელად ველოდით განგრძობას, რადგანაც მივხვდით თითქმის ილიკოს საიდუმლოს და გვინდოდა მისისავე ენით დავრწმუნებულიყავით მიხვედრილს სიმართლესა.

— ნუცას, განაგრძო ილიკომ, არ უკვირდა დათიკო, ახლა ამასაც დაემატა დათიკოს უყურადღებობა ცოლის მიმართ, რომელიც ნუცამ, რასაკვირველია, შენიშნა და ამის გამო სრულიად შეიცვალა. უწინდელი ცოცხალი, მხიარული, ბავშვური ცელქობა დაეკარგა. მოწყენილობა, უდარდელობა დიდად დაეტყო მის მშვენიერს თვალებს...

— ილიკო, მეტყოდა ხოლმე დათიკო. მე სხვაგან მივდივარ ცხენის გასასინჯად და შენი ჭირიმე, ნუცასთან შემოიარე, თორემ ძალიან მოიწყენს. ხომ იცი, ნუცა არსად არ დადის და შინ ჯდომა-კი დააჭლექებს...

— დათიკო, ვუთხარი მე, შენ გატყობ, გული აიცრუე ნუცაზედ.

— ილიკო, შენი ჭირიმე, მაგაზედ ნურაფერს მეტყვი. მე მიყვარს ნუცა და შენ, როგორც გულითადს მეგობარს, გაბარებ, სანამ მოვალ... სთქვა და წავიდა.

— მეც მიყვარდა ნუცასთან ბაასი. ახ! ნეტავი მცოდნოდა, რა ბოლო მოჰყვებოდა ამ ბაასსა!..

ასე, მე და ნუცა მალ-მალე ვხვდებოდით ერთმანეთს მარტოკანი და [illegible] ამაზედ არაფერს ამბობდა. რამდენჯერმე მოვაგონე მას ნუცაზე გულ-ცივობა, მაგრამ ჩემს ლაპარაკს და რჩევას ხუმრობაში ატარებდა... ამ დროს მე და ნუცას კავშირი-კი ძლიერდებოდა.

— ილიკო, მოდი უეჭველად საღამოზედ, სეირნობა მინდა, მეუბნებოდა მალ-მალე ნუცა...

— ნუცა, მე საქმე მაქვს და არ შეიძლება, ვუპასუხებდი, მაგრამ ნუცა ამაზედ ყვედრებით შემომანათებდა თვალებს.

— კარგი, ნუ მოხვალ; მაგრამ, ილიკო, მე რაღა გავაკეთო, ძალიან მოწყენით ვიქნები, ალერსით შემომეკითხებოდა და მეც აღარ ვიცოდი რა მეთქვა...

— კარგი, კარგი, ვეტყოდი და მართლაც იმავ საღამოს ნუცასთან ერთად ვსეირნობდი...

— განა „შენობით“ ელაპარაკებოდი ნუცას? შეეკითხა ერთი ჩვენთაგანი.

— დიაღ, „შენობით“ ისე დავუახლოვდი. თუმცა ნუცასთან სეირნობა, მასთან ბაასი ჩემთვის ბედნიერება იყო, მაგრამ... არა, მეშინოდა ჩემი თავისა, მეშინოდა ნუცასი... მრცხვენოდა დათიკოსი, რომელიც ასე მეგობრულად დამენდო. აქ ილიკო ცოტა ჩაფიქრდა და თუთუნს წევა დაუწყო.

— მე რაღაცა გრძნობა დამებადა, ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობი. ეს გრძნობა მტანჯავდა, ნუცასკენ მიტაცებდა, მაგრამ ეს ტანჯვა სასიამოვნო იყო ჩემთვის, ეს ტანჯვა რაღაცა სანეტარო ჰანგით ეჟღერავდა ჩემს გულში. მაგრამ ამგვარი სასიამოვნო ტანჯვა სულ სხვა ტანჯვად გარდაიქმნებოდა ხოლმე, როცა დავუფიქრდებოდი ჩემს გარემოებას... სინიდისიერი, მკაცრი მოსამართლე საყვედურით მიჩურჩულებდა: „მეგობარს 'არ უღალატოო!“ ოხ! მეშინოდა სინიდისისა, რომელიც აჩრდილივით უკან დამდევდა და ჩე-

რომელიც თვით რედაქციის სახელზედ მოვიდა, აგრეთვე ის დეპეშები, რომელიც ჩვენის თხოვნით გადმოგვცა თვით იუბილარმა, ყველა აღნიშნული იყო „ივერიის“ სიაში. შესაძლებელია ვინმეს სახელზედ კიდევ მოდიოდა დეპეშები, მაგრამ რედაქციისათვის არ გადმოუციათ; ეს გაზეთის ბრალი არ არის.

*** ქ. დუშეთი: 5 ნოემბერს, ღამით, დუშეთში თოვლი მოვიდა, მაგრამ მეორე დღესვე გადნა და ატალახდა. აქეთ საკმაოდ ცივა. შარშანდელ წელთან შედარებით, წრეულ უფრო ადრე დაგვიზამთრდა.

*** იქიდგანვე: წრეულს მთელს დუშეთის მაზრაში, როგორც სხვაგანაც, ძალიან ნაკლებად მოვიდა ღვინო, ისე რომ სახსენებელი არც-კია. ამას კიდევ არავინ იდარდებდა, რომ რაც მოვიდა, ის მაინც რიგიანი ყოფილიყოს. მაჭრები საშინელი მჟავეა, ყურძენიც ასეთივეა; ერთი სიტყვით, არაგვის პირი და მთლად მაზრა დიდს გაჭირვებაში ჩავარდება წრეულს. მართალია პურის მოსავალი კარგი იყო, მაგრამ აქაურს პურს უმისოდაც არ ჰქონია ბაზარი და, რასაკვირველია, არც ეხლა ექნება.

ამ ჟამად მთელს მაზრაში ხარჯებსა ჰკრებენ. ეჭვი არ არის გლეხობას ერთი-ორად დაეწერება ნედოიმკები, რადგანაც კარგის მოსავლის დროსაც ვერ იხდის ხოლმე ხვედრს გარდასახადს.

*** როგორც გვატყობინებენ, საქართველოს სამხედრო გზაზედ, მთებზედ, საკმაოდ დიდი თოვლი მოსულა. გზა თოვლით არის დაფარული თვით დუშეთამდის.

## პატარა შენიშვნა თ. რაფიელ ერისთავის იუბილეს შესახებ.

Лучше поздно, чѣмъ никогда.

წარსულ ზაფხულს მთელი საქართველო ემზადებოდა პატივის საცემლად თავის ღირსეულ მოღვაწე შვილის თ. რაფიელ ერისთავისათვის. ყველა კუთხეებში გულის ძგერით ეგებებოდნენ ქართველები ამ ამბავს. ყოველის ქართველის გულში აღენთო სასიამოვნო გრძნობა კმაყოფილებისა; დიაღ, საქართველო არ დაცემულა კიდევ, ჰღვივებია ჩვენში ეროვნული თვითშეგნება, ზრდის და გვყვანან იმისთანა შვილნი, რომელთაც შეუძლიანთ ნათელით მოჰფინონ საყვარელი სამშობლო, გაუძღვნენ თავის ერს წინ ეკლიან გზა-ბილიკებზედ. და ნუ თუ ამ საყვარელ შვილებს პატივი არა სცენ?.. ამ გრძნობით აღიჭურვა არამც თუ განათლებული ქართველი, არამედ ხევსურიც-კი, კაცი ნახევრად ველური, რომელმაც თავის თოვლიან კლდე-ღრეების მეტი არა იცის-რა ქვეყნიერობისა. გულის ძგერით ელოდნენ ყველანი იმ დღეს, რა დღესაც უნდა მომხდარიყო ეს სასიამოვნო დღესასწაული—მილოცვა საყვარელ იუბილარის თ. რაფიელ ერისთავისა.

აჰა დაჰკრა სანატრელმა საათმა, დადგა დანიშნული კვირა დღე 22 ოქტომბრის თვეს. ამ დღეს თეატრის დარბაზში დაინახავდით საქართველოს ყველა კუთხიდგან მოსულ ქართველებს:

,,კახი ფარ-შუბით, თუში ხლმით,
ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი.
მკლავით ძლიერი ქართველი, ვით
ციხე ბურჯი მაგარი;
ოსი ფეხ-მარდი, მთიული ბრძოლაში
შეუპოვარი.
მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი
ზრდილობით
და შვილდოსნობით აფხაზი, გურული,
მეგრი მკვირცხლობით“.

ყველას სახეზედ ეტყობოდა რაღაცა სიამოვნება, ღიმილით შეჰყურებდნენ ერთი ერთმანეთს. თითქოს ამით უნდა ეგრძნობინებინათ ერთურთის სიყვარული დ ერთობა. გესმოდათ დაჩაგრული მამულის ენა, რომელზედაც ლაპარაკობდა ყველა, პატარა და დიდი, ჩოხიანი და სერთუკიანი. როგორღაც სირცხვილად მიაჩნდათ იმ დღეს ყველა ქართველს ელაპარაკნათ უცხო ენაზედ. ლაპარაკობდა ისიც, ვისაც თითქმის არ ელაპარაკნა თავისს ენაზედ და რომელსაც ეს წამებული ენა მიაჩნია გამოუსაყენებლად, ფუჭად.

დანიშნულ დროზედ ხალხი შევიდა თეატრის დარბაზში, ყველამ მოწიწებით დაიჭირა თავ-თავიანთი ალაგი და გულის ძგერით ელოდა სცენის ფარდის ახდას. აიხადა ფარდა. სხვა დეპუტაციათა შორის, სულ უკან იდგნენ თუშ-ხევსურები. ხევსურები თავიანთ რაინდულ ჯაჭვ-ჯავშნით, ფარ-ხმალით და თუშები თავიანთ განთქმულ ძველებურ ხმლებით. დაიწყო დეპუტაციების მილოცვა. მე ამ დროს ვიდექი სულ უკან თუშ-ხევსურებთან. როდესაც დაიძახეს: „ფშავ-ხევსურების *) დეპუტაცია“! და უკანასკნელი მივიდა მისალოცავად, ვკითხე ჩემს ახლო მდგარ თუშს მამასახლისს: არიან ისინი (თუშები) ჩაწერილნი დეპუტაციის სიაში თუ არა? ჩვენ გუშინ გამოვეცხადენით და ჩაწერილნი უნდა ვიყვნეთო, მიპასუხა თუშმა. ხევსურების შემდეგ თუშებს არ გამოუძახეს, გავიდა კარგა ხანი, არ უძახებენ. რადგანაც სცენაზედ ხალხის სიმრავლის გამო პირად არ შემეძლო მეთხოვნა, რომ არ დაევიწყათ თუშები, ამისათვის ვთხოვე ბ. გ. ყიფშიძეს, რომ მას გარდაეცა თხოვნა ბ. აბაშიძისათვის. უკანასკნელმა ბ. ყიფშიძის პირით გარდმოგვცა, რომ გამოვიძახებთო. ცოტა ხნის შემდეგ გამოეგზავნათ ვიღაცას პირით, რომ ჩქარა გამოიძახებენ თუშებს და ამისათვის მზად ყოფილიყვნენ. ამ დროს მოხუცმა თუშმა ივანე ცისკარაშვილმა (ტუგიშვილმა) ჩაჰყო ხელი ახალუხის ჯიბეში და დაიწყო რაღაცის ძებნა. ამოიღო რაღაც წვრილი ქაღალდები და სინჯვა დაუწყო. ბოლოს გაშალა ერთი დაწერილი ფოსტის ქაღალდი და კითხვა დაიწყო. ამ პატიოსან მოხუცს მოემზადებინა სიტყვა, მაგრამ, საუბედუროდ, ვერ ეღირსა აესრულებინა თავისი გულის წადილი. თუშებს არ გამოუძახეს და გულ დამწვარ-დადაგულნი გავიდნენ დარბაზიდგან.

დიაღ რომ დამცირება იყო თუშებისათვის, რომ არ გამოუძახეს. ყველა საქართველოს კუთხის დეპუტაციამ თავი დაუკრა რაფიელს და თუშები-კი არსად იყვნენ, მათი ხსენებაც-კი არ იყო. თუშები-კი ნამდვილ მთიელის წრფელის გულით წამოვიდნენ რაფიელის თაყვანის-საცემლად, ვინ იცის საიდგან: ზოგი თუშეთიდგან, ზოგი ალვანიდგან და ზოგმა შირაქის მინდორში თავი დაანება თავისს ცხვარს და უპატრონოდ დაყარა იმ დროს, როდესაც ყოველი მეცხვარე ცდილობს ზამთრისათვის კარგი ალაგი დაიჭიროს. მოვიდნენ და არც კი ეღირსათ მისულიყვნენ და თავი დაეკრათ იუბილარისათვის. ცდამ ფუჭად ჩაიარა. გატყდა ამაყი თუშის გული... რათა, რისთვის?.. ჰფიქრობდა ყოველი მოსული თუში, განა მე არ ვეკუთვნი ქართველებს? განა ჩვენი წინაპარნი თუშები არა ღვრიდნენ თავიანთ სისხლს საქართველოს ბედნიერებისათვის? თუ-კი ჩვენი მეზობელი ხევსური მიიღეს, გამოიძახეს, ღირსად მიიჩნიეს, მე რაღა ვარ? განა მე ნაკლები მამულისშვილი ვარ? ნაკლები ამაგი გამიწევია სამშობლოსათვის? ამნაირი გრძნობანი სტანჯავდნენ თუშის გულს. ყოველი თუში სცდილობდა აეხსნა ეს მოვლენა, მაგრამ ამაოდ.

თუშის გულმა მაინც ვერ მოითმინა. მეორე დღეს თუშები წავიდნენ შინ რაფიელთან მისალოცავად, რომ ამით ცოტაოდენად მაინც მოეჩინათ გულის იარა. „ქართველები თქვენ როგორ დაგივიწყებთ“, მითხრა ერთმა ქალმა, მიამბო მოხუცმა ივ. ცისკარაშვილმა, „თქვენ არა ხართ საქართველოს ბურჯნიო“? ეს პატიოსანი ქალის სიტყვები მალამოსავით მოედო გულის იარას და მით ცოტაოდენად მაინც აათრთოლა დამწვარი გული თუშებისა.

საღამოზედ წარმოდგენა გაიმართა. ამ წარმოდგენაზედ იყვნენ მოწვეუ-

*) ფშავები არ ყოფილან.

---

მს ტკბილს ოცნებებში გართულს თავს მჭედლის ჩაქუჩისავით უკაკუნებდა, აგონებდა „მეგობარს არ უღალატოო“ და მით სიამოვნებას ტანჯვად სცვლიდა; ამ წუთში სული მეხუთებოდა, გულზე ჭახრაკებს ვგრძნობდი და შუბლზედ სირცხვილის ოფლს მასხამდა.

— არა, ვამბობდი მე, უნდა თავი შევიკავო; რაც შეიძლება გულგრილად უნდა მოვექცე ნუცას, მაგრამ ამის ასრულება-კი ჩემთვის შეუძლებელი იყო. ნუცას დანახვა, მისის შავის თვალების ჩემკენ მომართული ალერსი მიმონებდა და მავიწყებდა მას, რასაც ერთის წუთის წინად დამჯდარი გონება მიჩურჩულებდა... — ვერ აგიწერთ, ყმაწვილებო, დაწვრილებით, რასაც მე ვგრძნობდი; წარმოიდგინეთ, რას უნდა გრძნობდეს კაცი, როდესაც გული სულ სხვას ეუბნება, როდესაც გრძნობა სანეტარო სურათებს უხატავს და სინიდისი-კი წინაღმდეგს ჩასჩურჩულებს ყურში...გრძნობისა და სინიდისის ბრძოლაში საშინელ ტანჯვაში ვიყავ და არ ვიცოდი როგორ გამომეხსნა თავი ამ ტანჯვისაგან.

— ზაფხული იყო და აგარაკად კოჯორში ვიყავით, განაგრძო ცოტა ხნის შემდეგ ილიკომ. ერთხელ ჩაფიქრებული ბაღში სკამზედ ვიჯექი.

— ილიკო, შემომესმა თითქოს სიზმარში ზარასავით წკრიალა, ზღვასავით ღრმა და ნექტარსავით ტკბილი ხმა ნუცასი. იმ წამს ფიქრისაგან გამოვერკვიე და მოწყენით შევხედე ნუცას.

— ოხ, უკაცრავად ილიკო, ფიქრს შეგიშალე... მე ბაზარში მივდიოდი...

— არ დაგაბრკოლებ, ვუთხარი ნუცას და მეორე მხარეს წასვლა დავაპირე.

— მოიცა, ილიკო, სად მირბიხარ? შემომეკითხა ნუცა. მე შევსდექი. ნუცა მომიახლოვდა და პირდაპირ შემომანათა შავი თვალები. ტანში ჟრუანტელმა დამიარა, მთელი სხეული ამითრთოლდა, გული შედგა... ჰხედავთ, ყმაწვილებო, როგორის დაწვრილებით მახსოვს, წარმოსთქვა ილიკომ მწარე ღიმილით და თან წყალი დალია.

— ილიკო, რად გამოიცვალე, შემომეკითხა ნუცა, რატომ ისე აღარ მექცევი, როგორც წინად?

მე ავენთე, ვიგრძენი, რომ გავწითლდი, პასუხი ვეღარ მოვახერხე.

— გამოვიცვალე?.. წავიბუტბუტე; როგორ?...

— შენ კარგად იცი, რაზედაც ვამბობ. თუ ღმერთი გრწამს, ნუ თვალთ-მაქცობ, წყრომით და ფეხის დაბრაგუნებით გამაწყვეტინა ნუცამ. განა ტფილისში ასე გულცივად მეპყრობოდი?

— მაშინ სხვა იყო, მივუგე და თვალები მოვარიდე.

— მაშინ რაღა იყო?..

— რად მტანჯავთ? მითხარით, რაში ვარ თქვენს წინაშე დამნაშავე? შევეკითხე მე.

— კარგი „თქვენობით“ იყოს, გაჯავრებით მითხრა ნუცამ. თქვენ წინად სულ ჩემს სიამოვნებას [illegible] ლობდით, ეხლა-კი მარტო რომ ვიჯდე დაღონებული, არ მომეკარებით. ჩვენსაც სიარული თითქმის შესწყვიტეთ. აი, ეხლაც აქ რომ მოვედი, თქვენ გაქცევა რად დააპირეთ? მე ვფიქრობ, რომ სრულიად შეგძულდით!

ამ სიტყვებით ნუცა ჩემი გულის სუსტს სიმს შეეხო. მე ავღელდი ამ სიტყვაზედ.

— ოხ, ნუცა, ნუ ამბობთ მაგას, თქვენ ძლიერ სცდებით, წამოვიძახე გრძნობით.

— სრულიადაც არა ვსცდები, დაიწყო ისევ ნუცამ და თან ყვედრებით შემომანათა შავი, ვნებით სავსე თვალები. ღმერთო ჩემო! რა თვალები ჰქონდა! თქვენ შეგჯავრდით, აქ ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის...

— ოხ, რომ იცოდე, ნუცა.— ნეტავი შემეძლოს თქმა.

აქ ნუცამ გამაწყვეტინა.

— ეჰ, კარგი, წარმოსთქვა ნუცამ და თან პატარა ფეხი გაჯავრებით მიწას დაჰკრა. მე აღარაფერს არ ვთხოულობ... გამშორდით... თუ გეჯავრებით... მაინც მე ჩემს სიცოცხლეში არავის ვუყვარებივარ... აქ ნუცამ თვალებზედ ხელი მიიფარა და გატრიალდა წასასვლელად.

მე თითქოს ვიღამაც გულში ხანჯალი დამიტრიალა ამ სიტყვებისა და ცრემლების შემდეგ...

— ნუცა, ნუცა; დავუძახე...

— რა გინდათ, შემომეკითხა წყრომით ნუცა და მოტრიალდა ჩემსკენ.

— ნუცა, შევრიგდეთ, ვუთხარი და გავუწოდე ხელი. მე თავის დღეში აღარ გაგაჯავრებ, ყოველთვის [illegible] მიწყრები.

— ჰო, ეგრე არა სჯობია, მიპასუხა ნუცამ ღიმილით.

— მაკოცე!

ამ სიტყვაზედ მე გაკვირვებით წამოვიძახე!

— ნუცა!?! რას ამბობ?..

— ეჰ, მაკოცე, ხომ არა გრცხვენიან, მითხრა ნუცამ და თავისი ალისფერი ვარდად ნაფურცლი ტუჩები მომიშვირა. მე ავთრთოლდი, ვნებამ დამიმონავა და გიჟსავით დავეკონე საყვარელს არსებას...

— კმარა, მითხრა ნუცამ, ეს კოცნა ჩვენი შერიგების სახსოვრად იყოს, ჰო, ჩემო ილიკო!..

— იყოს, იყოს, ჩემო ნუცავ, მივუგე მე გრძნობით.

— შემდეგ წავყევი ბაზარში და ამ წუთიდგან სრულიად დავემონე ნუცას, იგი ჩემი ღმერთი იყო, იგი ჩემთვის მზეც იყო და მთვარეც; მე ბედნიერი ვიყავი...

ჩვენ ყველანი გულ-მოდგინედ უგდებდით ყურს ილიკოს და თანაც ერთმანეთს გაკვირვებით შევხედავდით ხოლმე. აქამდის არ ვიცოდით, რომ ამ მოღვაწე კაცის დაღვრემის მიზეზი სიყვარული იქნებოდა.

— გავიდა ორი თვე... მე და ნუცა სულ ერთად ვატარებდით დროს. მე მას ვეტრფოდი, ის მე და ანგარიშის მიუცემლად ვსტკბებოდით ერთმანეთის ცქერით. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ: წმინდა სიყვარული არ აკმაყოფილებს კაცის ბუნებას; მეც ეს მკლავდა, არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავ. ნუცა-კი ამას თითქოს ყურადღებას არ აქცევდა... იგი სულ იმის ფიქრში იყო, ილო ფიქრობდა, რომ ილოც კაცია, რომ იგიც იმ ბუნებისაა, რა ბუნებისაც მისი მხგავსნი. მე მუშაობა შევწყვიტე: აღარ შემეძლო...თვალ-წინ სულ მომხიბლავი ნუცას სახესავით ტანი და ეშხით სავსე სახე მედგა. ძილში, თუ ცხადად სულ ნუცას შევსტრფოდი, სულ იმის ალერსში ვიყავი; სხვა სუყველაფერი დამავიწყდა. ჩემთვის ნუცას მეტი აღარაფერი არსებობდა. დათიკო? ის ყურადღებასაც არ გვაქცევდა. იგი თითქმის ყოველ დღე ნადირობაში და ცხენების სინჯვაში ატარებდა დროსა. იგი ალბად დარწმუნებული იყო, რომ არ ვუღალატებდი, დარწმუნებული იყო ჩემს სიპატიოსნეზე, რომ მას მე არ შაულახავდი ოჯახის პატივს და აი ეს მისი უყურადღებობა, ბრმა რწმუნება მკლავდა, მტანჯავდა. ღმერთო! ღმერთო! წამოვიძახებდი ბევრჯელ სასოწარკვეთით, ნეტავი რით უნდა დასრულდეს ესა, ნეტავი, თქვენის სიცოცხლით, დათიკოს ყურადღება მოექცია, იქნება შეენიშნა ჩვენი დამოკიდებულება, სიყვარული; მაშინ მაინც ძალაუნებურად დავშორდებოდი ნუცას. მაგრამ არა, ის ისევ მხიარული იყო. ისევ წინანდებურად მექცეოდა. ერთი დღე რომ იმათსა არ მივსულიყავი, დათიკო ყვედრებით მეტყოდა:

— რატომ არ მოხვედი, ნუცა უშენოდ დაღონებული იქნებოდა, რადგანაც მე სანადიროდ ვიყავიო.“ თითქოს იგი იმის ცდაში იყო, რომ მე და ნუცა რაც შეიძლებოდა დავახლოვებულიყავით.—ამის გამო სხვადასხვა აზრი მტანჯავდა, გულს მიწყლულებდა. იქნება, ვფიქრობდი მე, [illegible] რომ მასთან განშორება ჰსურს და მე მიახლოვებს, რომ მახეში გაგვაბას და ეს მიზეზად მოიდოს განსაშორებლად. მაგრამ ამავე დროს სინიდისი მაინც მქენჯნიდა. ბოლოს გავიფიქრე გულში გაქცევა შორს, შორს სადმე,

ლნი სხვა დეპუტაციების შორის აგრეთვე თუშ-ხევსურები, რომელნიც არ ვიცით რისთვის, გალიორკაზედ იყვნენ მომწყვდეულნი. კიდევ არა უშავდათ-რა, თუ წინა რიგზედ მსხდარიყვნენ; დაინახავდნენ რასმე მაინც, მაგრამ, საუბედუროდ, სულ უკანა რიგზედ ისხდნენ, საიდგანაც თითქმის ხეირიანად ვერაფერს ვერ დაინახავდნენ. რად მოვეპყარით აგრე ამ მთის არწივებს? განა წავაგებდით რასმე, რომ უკანასკნელი რიგი პარტერისა მაინც მათთვის დაგვეთმო?—არაფერს.

მარტო ამით როდი დავაშავეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, შორიდგან მოგვივიდნენ ძმები, რომ ამით გამოგვიცხადონ სიყვარული, რომ ჩვენთან ერთად თავი დაუკრან ჩვენს პატივცემულ იუბილარს, გავმართეთ ვახშამი და ჩვენი განთქმული მამაპაპური წესიც არ ავასრულეთ. არ ავასრულეთ იმიტომ, რომ არ დავპატიჟეთ ვახშამზედ, დაგვენანა მათთვის პატარა ყველი და პური. სხვა დეპუტაცია იღებდა მონაწილეობას ვახშამზედ და ისინი-კი ღირსად არ ჩავთვალეთ. რისთვის? იქნება მისთვის, რომ ისინი მეტნი იყვნენ? რომ არაფერი არ გაეგებოდათ ქვეყნიერობისა.—უფრო იმისთვის,

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

უფრო ამისთვის უნდა მიგვექცია მათზედ ჩვენი ყურადღება, უფრო იმათთვის გვეცა პატივი, უნდა გვეჩვენებინა ნამდვილი ძმური, ქართული გული და სიყვარული. უნდა დაგვესხა ჩვენ გვერდით, მიგვემართნა მათკენ გრძნობიერი, სიყვარულით აღსავსე სიტყვით, რომ სამარადისოდ დარჩენოდათ მათ გულში ამოღვივებელ ნაკვერჩხლად.

დავაშავეთ, მაგრამ რაღას გავაწყობთ. ურემი როცა გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო, ამბობს ჩვენი ხალხური გონიერი ანდაზა. ვეცადნეთ ამის შემდეგ, რომ ჯერ გზა მოვნახოთ და შემდეგ მშვიდობიანად ურემი გავატაროთ.

ივ. ბ— ლი.

## რუსეთის ცხოვრება.

—

სასოფლო შემნახველ-გამსესხებელთა და სამრეწველო ამხანაგობათა კომიტეტის პეტერბურგის განყოფილებამ გარდასწყვიტა თავის სხდომაზედ მოახდინოს კრება შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა და მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლებისა, რათა გამოკეთდეს და განვითარდეს მოქმედება ხსენებულ დაწესებულებათა. პროგრამის შემუშავება და კრების მოწყობა მინდობილი აქვს განყოფილების საბჭოსა და კომისიას, რომელშიაც მიწვეულნი იქმნებიან მცოდნე კაცები. კრების დროისა და ადგილის შესახებ ჯერ არაფერი არ არის გარდაწყვეტილი; ასეთ ადგილად ასახელებენ სრულიად-რუსეთის გამოფენის ადგილს—ნიჟნი-ნოვგოროდს.

—

დაბალ სახელოსნო სკოლებისა და ხელოსან მოწაფეთა სკოლის გასახსნელად 40 ათას მანეთს კრედიტსა თხოულობენ.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

პროფესორმა თარხნიშვილმა, რომელიც დანიშნული იყო კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზედ კურს დამთავრებულთა გამოსაცდელ კომისიის თავმჯდომარედ, ახალ-გაზდა მკურნალთ მისცა რამდენიმე კარგი რჩევა, რომელთა აზრიც ზედმიწევნით შემდეგია: ახალგაზდა მკურნალთ, რომელნიც ღირსნი გახდნენ ამ წოდებისა, არ უნდა მოჰკიდონ ხელი თავიანთ საქმეს ისე, ვითომც იგინი ყოვლად მომზადებულნი იყვნენ ამ ასპარეზზედ სამოქმედოდ. მეო, სთქვა პროფესორმა, როგორც ერთმა მახლობელმა მცოდნემ თქვენის სწავლის ავკარგიანობისა, კარგად ვიცი, რამდენი ნაკლულევანება გაქვთ თქვენ და რამდენი ბნელი და ჯერ თქვენთვის უცნობი კუნჭული ამ ფრიად ძნელსა და ვრცელს საგანში.

ყოველი ახალგაზდა მკურნალი უნდა შეუდგეს თვით-განვითარებას. იგი ამისთვის უნივერსიტეტმა მოამზადა და ამ შრომით უნდა შეავსოს ის ნაკლულევანებანი, რომლითაც იგი გამოდის სასწავლებლიდამ. თუ ეს ნაკლულევანებანი არ შეივსო, მაშინ სინიდისმა ნება არ უნდა მისცეს შეუდგეს მკურნალობას, წამლობას, რომელზედაც დამოკიდებულია მისი პაციენტის სიკვდილ-სიცოცხლე. ჩვენ მაშინ ვიწყებთ სწავლას და საგნის შეგნებას, როდესაც უნივერსიტეტს ვათავებთო. პროფესორი დაბეჯითებით ურჩევთ არ მოჰკიდონ თავისს საქმეს ხელი, ვიდრე ჯეროვან სწავლას არ შეიძენენ და არ შეავსებენ თვის ნიკლულევანებას. შემდეგ ამისა, პროფესორმა გამოსთქვა ის აზრი, რომ მკურნალობაში დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ექცევა მკურნალი ავადმყოფს. პროფესორი მკურნალთაგან ითხოვს ავადმყოფის სიყვარულით და გულშემატკივრობით მოპყრობას და ამას უფრო დიდს მნიშვნელობას აძლევს, ვიდრე თვით წამლობას.

— ბევრს მწერალს უქადაგნია,—რა მერმისი მოელის ამ ჩვენს დედა-მიწას და მასზე მცხოვრებთ. ამ საგანზე ბევრი რამ თქმულა ისეთი, რომელიც სიზმარს და ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე მართალსა და მაინც დიდის სურვილით ყური გვიგდია, დიდის წყურვილით გადაგვიკითხნია, რაც-კი ამაზედ თქმულა და დაწერილა. უფრო ძლიერ და დიდად მოსანდომი უნდა იყოს ეს საგანი როცა მაზე ჰლაპარაკობს დიდად სახელგანთქმული სწავლული, რომელმაც მეცნიერებაში ახალი გზა გაიკვლია და მით შემწეობა მისცა ადამიანს და მის შთამომავალს განაახლოს თვისი ცხოვრება. ერთი ამისთანა მეცნიერი არის ბერტელო, საფრანგეთის ქიმიკოსი და ეხლანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი. ქიმიამაო, უთქვამს ამას ეხლახან ერთს ნადიმობაზე, ამ უკანასკნელს ათს წელიწადში დიდი საქმეები ჰქმნაო. ეს მხოლოდ დასაწყისია და მალე ბევრს ახალს საგანს აგვიხსნისო და გამოგვირკვევსო. 2000 წელს აღარც ხვნა-თესვა იქნება, აღარ გლეხთავადობაო, რადგანაც ქიმია მოსპობს მიწის მუშაობას იმ სახისას, როგორიც დღეს არისო. არც შეშა-ღა იქნება საჭირო, არც ქვა-ნახშირიო, რადგანაც საჭირო სითბოს და ცეცხლს ფიზიკისა და ქიმიის პროცესებით მივიღებთო. საბაჟოები და ომები სულ გაქრება და მოისპობაო; ჰაერში სიარული, რომელსაც ქიმია თავის ხელს მიაშველებსო, მოგზაურობის და წასვლა-მოსვლის ღონისძიებად შეიქმნებაო და საბაჟო და ომები, ეს გაცვეთილნი და ობ-მოკიდებულნი დაწესებულებანი, ჩაილულის წყალს დალევენო. შეშა და ქვა-ნახშირი, რომლის მეოხებით დღეს ორთქლს ვამოქმედებთ მანქანებშიაო, დღე და დღე კლებულობს და ცოტავდება დედა-მიწაზეო. ამიტომ საჭიროა ვიფიქროთ, რომ მზის სითბო და დედა-მიწის გულის სიმხურვალე გამოვიყენოთ და ვიხმაროთო. ხელთ გვაქვს საბუთიანი იმედი, რომ ამ ორ საგნისაგან დაუსრულებელი სითბო და სიმხურვალე ვიქონიოთო. 3000—4000 აღლზედ რომ დედა-მიწას გული ჩავუთხაროთო დიდი არაფერია ჯერ ეხლანდელ ინჟენერებისათვის და შემდეგთათვის რაღა თქმა უნდაო. აქედამ, ამ დედა-მიწის გულიდამ სითბო, რომ სათბუნებლადაც გვეყოფა და ყოველის ფრის საწარმოებლადაცაო. ამას წყალიც ზედ რომ დავურთოთ, მაშინ ხომ შესაძლო იქნება ყოველ გვარი მანქანა, როგორც გვინდა ისე ვამოქმედოთო. ეს იმისთანა ბოლოზია სითბოსიო, რომ ბევრი ასი წელიწადი გავა, ვიდრე კლება რამ შეეტყობაო. ეს დედა-მიწის სითბო ბევრს აუხსნელს აგვიხსნის ქიმიისასაო და მათ შორის იმასაც—თუ ქიმიურად როგორ მომზადდეს ხორაგი—საჭმელი და სასმელი ადამიანისაო. რომ ეს შესაძლოა, დიდი ხანია დამტკიცებულია მეცნიერებისაგანაო, რაკი იეფად დაგვიჯდება სითბოს შოვნა, მაშინ ქიმიურად შედგენას ხორაგისას, საჭმელ-სასმლისას, ხელს მიჰყოფეგო. რასაც ეხლა მიწის მოსავალი და მცენარე იძლევა, მაშინ ყველაფერს ადამიანის ოსტატობა მოგვცემსო, მერე უფრო კარგსა და სრულსა, ვიდრე ბუნებაო. დრო მოვა, რომ თვითეულს ადამიანს ჯიბეში ედება ქიმიურად შედგენილი მასალა და ამ მასალისაგან საჭმელს გაიკეთებსო მიუხედავად იმისა თუ—ღამეა თუ დღე, ზაფხულია, თუ ზამთარი, წვიმაა თუ გოლვა, ყინვაა თუ სითბო, სეტყვაა, თუ მწერი. მაშინ ისე შეიცვლება ყოველიფერი, რომ კაცი ვერც კი წარმოიდგენსო. აღარ იქნება ხნულები და ნათესები, ვენახები და საძოვრები; ადამიანი უფრო კეთილ-ზნიანი და გულ-ტკბილი შეიქმნება, რადგანაც იძულებული არ იქნება, როგორც ეხლა, ჰხოცოს პირუტყვი საჭმელადაო. მაშინ მოისპობა გარჩევა ნაყოფიერის და უნაყოფო მიწისა და ურწყული უდაბური ქვეყანა უფრო სასურველიც შეიქნეს საცხოვრებლად, რადგანაც ამისთანა ქვეყანა უფრო კარგია ჯანმრთელობისათვის ვიდრე ჭაობიანი, წყლებით დამპალი და გახსტიანებული მინდვრები, საცა ეხლა ხვნათესვააო. დედა-მიწა აღარ დაუშნოვდება ოთხ-ოთხ-კუთხიან ხნულებითაო. იგი წალკოტად გადიქცევა, მწვანით, ყვავილებით, ბუჩქებით მორთული და ადამიანი ისე იქნება, თითქო სამოთხეშიაო. ამით ადამიანი არ მიეცემა უქმობას და ავზნეობასაო. მაშინ ქვა-კუთხედად ბედნიერებისა იქნება მხოლოდ შრომა და გარჯაო. ადამიანი იშრომებს და გაირჯებაო, იმიტომ-რომ ეგ შრომა და გარჯა საკუთრად თავისს-თავისთვის იქნებაო, რომ მიაღწიოს უმაღლესს ხარისხს თავისის გონების ზნეობისა და ესტეტიკურ წარმატებისასაო.

— ამერიკაში, ნიუიორკის შტატში, ორვეგოს ახლო ახალ-შენი გაუმართავთ და იმ ახალშენისათვის დაურქმევიათ: „სამოთხე უდა-

---

სადაც ჩემის ფიქრით გულიდგან ამოღივებდი ნუცას სახეს და სამუდამოდ განვთავისუფლდებოდი იმ სენისაგან, რომელსაც სიყვარულს ეძახიან. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, ვერ დამენებებინა თავი ჩემის მიწა-წყლისათვის, ჩემი მამულისთვის. ამას გარდა ნუცას სახის წარმოდგენა და ჩემი განზრახვა ბოლსავით გაქრებოდა ხოლმე...

— რომ წავიდე, განვშორდე ნუცას, განა ეს საკმაოა სიყვარულის გასაქარვებლად? ასე ვეკითხებოდი ჩემს თავს.—არა, არ არის საკმაო, მეუბნებოდა გრძნობა, შენი უნუცაოდ ცხოვრება ცხოვრება-კი არ იქნება, არამედ ტანჯვა და ჯოჯოხეთი. მერე ნუცასაც ხომ უყვარხარ! განა ის აიტანს შენს დაშორებას? არა, ვერ აიტანს. რამდენჯერ უთქვამს, რომ უშენოდ ერთს წამსაც ვერ გავძლებო. ეს გულის პასუხი მახარებდა, მაგრამ მხოლოდ ერთს წამს და მალე ისევ განუსაზღვრელ მწუხარებად მეცვლებოდა ხოლმე.

ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი და ეს ჩვენი განუსაზღვრელი სიყვარული ჩვენსავე გულში იმარხებოდა! აქ ცოტა ხნით ილიკო ჩაჩუმდა.

— მე დავსუსტდი, განაგრძო ილიკომ, მადა დამეკარგა.

— ილო, რა დაგემართა? ავად ხომ არა ხარ? აღარც ფერი გაქვს და აღარც ხორცი! შემომეკითხა ერთხელ ნუცა.

— დიაღ, ავადა ვარ, მივუგე დაღვრემით ნუცას.

— რა წყრომით მეუბნები, ჩემო ილიკო, მე ხომ არა ვარ დამნაშავე.

— შენა ხარ, შენა... წამოვიძახე და ტუტიანისავით გამოვვარდი ოთახიდგან.

— ღმერთო, რა ვუყო, რა ვქნა. ვიძახოდი მალ-მალ სასოწარკვეთით, ცალკე სინიდისი შეუბრალებლად მჭედლის კვერსავით მიკაკუნებდა: მეგობარს არ უღალატოო!“ ცალკე კიდევ ნუცას უნუგეშო სიყვარული მტანჯავდა და მაჰკნობდა.

— ერთხელ ამ ფიქრში გართული შევსდექ ნუცას სახლის ახლო მდებარე კლდის პირას და დაშტერებით დავაცქერდი ერთს წერტილსა.

— რაზედ დაფიქრებულხარ, ილიკო, შემომძახა უკანიდგან ნუცამ და ხელი მხარზედ დამადო.

— აი, ვფიქრობ, ნუცავ, კარგი არ იქნება, რომ ამ კლდიდგან გადავვარდე... მაშინ ხომ ტანჯვისაგანაც განვთავისუფლდები.

— ტუტუცი ბავშვი, წამოიძახა ნუცამ; მერე იცი, მე უშენოდ რა მომივიდოდა? მეც ხომ ამავე კლდიდგან გადმოვვარდებოდი.

— არა, ნუცა, ჩემის სიკვდილის შემდეგ ცოტას იდარდებდი და მალევე დამივიწყებდი.

— არა, მე შენ თავის დღეში არ დაგივიწყებ, იმიტომ რომ არ შემიძლიან შენი დავიწყება.

— რასაკვირველია, მივუგე მე, სანამდის არ შეგხვდება მეორე სულელი, რომელსაც თავს შეაყვარებ, რომ სტანჯო და აწვალო ჩემსავით.

— როგორ გტანჯავ, ჩემო ილიკო? ბავშვურად შემომეკითხა ნუცა და თვალები დამაშტერა.

— აბა დაფიქრდი და გაიგებ. არა, ნუცავ, დავიწყე მე, მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან!

— ღმერთო, ღმერთო, დაიწყო ნუცამ მწუხარებით, ნეტავი არ გავჩენილიყავი. რა ტკბილია ცხოვრება და როდესაც ერთი მხრით ქმარი მიდგა და მეორე მხრით შენა! ნუ თუ შენც აღარ თანამიგრძნობ?

— ნუცავ, შენმა ქმარმა რაღა დაგიშავა? შევეკითხე მე.

— რაღა დამიშავა? ისა, რომ ჩემზედ გული აიცრუვა, რაც, რასაკვირველია, სრულიად არა მწყინს, მაგრამ მალ-მალ ჩემს კოცნას მოინდომებს ხოლმე...

— მაშ არ მოგწონს მისი კოცნა? შევეკითხე მე.

— მეზიზღება! თითონ ისიც მეზიზღება. ოხ, რომ იცოდე, ილიკო, კინაღამ ტუჩები მოვიკვნიტე, წეღან რომ მაკოცა.

— კი, მაგრამ, ყოველთვის მაგრე გეზიზღებოდა დათიკო, შევეკითხე მე და გავიხედე იქით, საითაც ნუცა იყურებოდა. იგი უყურებდა კისერ გვერდზედ გადახრილი მთის წვერზედ დაკიდებულს ჩამავალს მზესა.

— ყოველთვის! მაგრამ ეხლა უფრო ძალიანა მძაგს, ღმერთმანი, ჩემო ილიკო, ხან-და-ხან ფიქრადაც მომივა ხოლმე... დაიწყო მწუხარების კილოთი ნუცამ...

— რა მოგივა ხოლმე ფიქრად, ჩემო ძვირფასო? შევეკითხე მე, მოვხვიე ხელი და ალერსით დავუწყე თვალებში ყურება. ნუცა ცოტად შეკრთა, კარგად შევატყე...

— ისა, რომ, მომიგო ხმის კანკალით, განა ისეთი რამ მოიპოვება ქვეყანაზედ, რომელსაც შეეძლოს ჩემი დასაჩუქრება, იმისთვის რომ იმასთან ვცხოვრობ? შენ ქალებს დასცინოდი ერთს დროს, რომ ვითომ ჩვენ მზათა ვართ სიმდიდრისათვის და საზოგადოებაში პირველი ადგილის დაჭერისათვის სული გავყიდოთ, მაგრამ ეხლა-კი ვიცი ის, რაც წინად არ ვიცოდი. მე არ მეგონა, რომ ცხოვრებაში არის ისეთი ძვირფასი რამ, რაც არას დროს არ შეიძლება კაცმა გაყიდოს, რადგანაც მისი ფასი ქვეყანაზედ არ მოიპოვება...

— მზე ამ დროს უკანასკნელ სხივებს ესროდა მთა-ბარსა და საოცნებო ელფერსა სდებდა იქაურობას... ნუცა ამ მზის სხივებისაგან უფრო ლამაზი მეჩვენა...

— რა არის ესეთი ძვირფასი, ნუცავ, შევეკითხე და ჩემი სახე უფრო მივუახლოვე ნუცას სახეს...

— სიყვარული, წარმოსთქვა ნუცამ...

მე ალერსით ჩავაკვირდი მისს თვალებს... იმისმა ცხოველმა ალმა ჩემს სახეს შემოჰკრა და სულის თქმა მომიმატა, იმის შავი თმა ჩემს გახურებულს შუბლს გაეთამაშა და ცელქად ღიტინი დაუწყო... ყოველი ეს ვეღარ მოვითმინე და გიჟსავით დავეკონე მის ალის-ფერს ტუჩებს! აქ ილიკო აღელვებული წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით დაიწყო ოთახში სიარული...

ჩვენც ავღელდით და მოუთმენლად ველოდით, როდის დაჯდებოდა ილიკო თავის ალაგას და განაგრძობდა თავის თავ-გადასავალს.

— შემდეგ, შემდეგ, მივმართეთ ილიკოს მოუთმენლად...

ილიკო დაჯდა და განაგრძო...

— მე აღელვებული შევეკითხე ნუცას...

— გიყვარვარ, ნუცავ? ჩემო საუნჯევ!

— მიყვარხარ, მიყვარხარ. რაღასა მკითხავ, როცა შენ ჩემს თვალებში ჰკითხულობ...“ მე უფრო მაგრა მივიკარი გულზედ ნუცა და თავ-დავიწყებით დავეწაფე მის ტუჩებს... ნუცა ხელიდგან გამისხლტა...

—არა... არა... შემომძახა თრთოლვით ნუცამ...

— ნუცა, შენც მოგკლავ და თავსაც მოვიკლავ, წამოვიყვირე მე და ნუცასკენ ნაბიჯი გადავდგი.

— არა, ილიკო, სერიოზულად მითხრა ნუცამ. ჩვენში მეგობრულის სიყვარულის გარდა სხვას ალაგი არა აქვს, სთქვა ნუცამ ესა, თუმცა ეტყობოდა, რომ ძვირად უღირდა ამ სიტყვების წარმოთქმა...

— მე თვალებზედ ხელი მივიფარე და გავტრიალდი... შემრცხვა, შემრცხვა! თუ წინად ვნებამ სინიდისის ხმა ჩააჩუმა, ახლა სინიდისმა აამაღლა ხმა: „ჩვენში მეგობრულის სიყვარულის გარდა სხვას ალაგი არა აქვს“. დიაღ, არა აქვს! ვიმეორებდი მე. დიაღ მე ნება არა მაქვს სხვის საკუთრებას შევეხო, თუნდაც რომ მესაკუთრე უღირსი იყოს. რა ვუყო რომ მიყვარს... ჩემი მოვალეობაა, ნუცას თავი დავაჭერინო, მით უმეტეს მე უნდა შევიკავო თავი...

— „ხა, ხა, ხა...“ გადიხარხარა დაცინვით ვიღამაც ჩემს ყურში. მოვალეობა? შე საცოდავო, გულს რაღა პასუხს აძლევ?“ ამ ხმაზედ ფეხი ავუჩქარე, მივირბინე შინ, წავწექ ლოგინზედ და მწარედ დავიწყე ქვითინი.

იქიდგან დაიწყო ჩემი ავადმყოფობა: გავხდი ავად და მთელი ორი კვირა ლოგინში ვიწექი. ამ ორს კვირაში ნუცასი არა გამიგია-რა.

(დასასრული იქნება).

მოდ“. იგი ახალ-შენი ეკუთვნით მარტო დედა-კაცებს და მამა-კაცებს ნებას არ აძლევენ იქ დასახლდნენ. დამწესებელი ამისა არის ერთი მანდილოსანი მერი ჟოკერი, რომელიც ერთი თავდადებული მეომარია დედათა უფლებათათვის ინგლისში. ამ უკანასკნელ ხანებში იგი ამერიკაში წავიდა და იქ ავრცელებდა თავის მოძღვრებას. ამან თურმე დააწესა ხსენებული ახალ-შენი მანდილოსნებისა. თვითეული მანდილოსანი მოვალეა სცხოვრებდეს ერთს უშველებელს სახლში, რომელსაც განაგებს თვით მერი ჟოკერი და ორი მისი თანაშემწე ქალი. მანდილოსანთ აქ მცხოვრებთ აღთქმა აქვთ არ გათხოვდნენ, ქმარი არ იყოლიონ. იქ მიიღებენ ხოლმე მარტო გასათხოვარ ქალებს ნაკლებ 15 წლისას და არა მეტს 35-ისას. თავი და თავი საგანი იმათი ის არის, რომ განაახლონ კაცობრიობა და სულ სხვა მოდგმა „ახალის დედაკაცებისა“ შექმნან. წევრნი ამ „უადამო სამოთხისა“ ჰხვნენ, სთესვენ, მუშაობენ მიწას, იწვრთებიან საპოლიტიკო, სასოციალო და სალიტერატურო საქმეთათვის (ნ. ვ.).

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 ნოემბერი. *)

**პეტერბურგი.** ბიულეტენი 8 ნოემბრისა: ხელმწიფე იმპერატრიცა მთელს ღამეს კარგად ბრძანდებოდა. ახლად დაბადებული კარგად არის.

სამედიკო დეპარტამენტი აცხადებს, რომ პეტერბურგში ოთხიდგან 7-მდე 5 კაცი გახდა ავად ხოლერით და ხუთივე მოკვდა. 6 ნოემბერს 6 გახდა ავად და 7-ს ოთხი(?).

**პერმი.** რუსის ექიმთა კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა იშუამდგომლოს, რათა მოსპობილ იქმნას გაროზგვა.

**სოფია.** ხელმწიფე იმპერატორმა ფრიადის მოწყალების პასუხი გაუგზავნა პრინც ფერდინანდ კობურგს, რომელმაც მიულოცა დეპეშით დიდის მთავრინა ოლგა ნიკოლოზის ასულის დაბადება.

**ლონდონი.** ბრაიტონში სოლსბერიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოიყვანა ხონთქრის წერილობითი პასუხი შესახებ სოლსბერისაგან გამოთქმულის ეჭვისა, რომ ოსმალეთი რეფორმებს ვერ განახორციელებსო. ხონთქარი სწერს, რომ ამ ეჭვმა ის დიდად შეაწუხა და რეფორმების შეტანა გარდაწყვეტილი არის და, რაც შეიძლება, საჩქაროდ იქნება შეტანილი. თავისს მინისტრებს სულთანმა განუცხადა, რომ სოლსბერის ეჭვი ინტრიგების ნაყოფი არისო. სულთანმა განიმეორა, «რომ მე თვითონ ვადევნებ თვალ-ყურს თვითოეული მუხლი რეფორმისა აღსრულებული იქმნას». სოლსბერიმ მიიღო ყოველი ესე მხედველობაში და წარმოსთქვა მეორე სიტყვა, რომელშიაც ოსმალეთის მიმართ მეგობრული გრძნობა არის გამოსახული. შემდეგ სოლსბერი შეეხო ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობას და შენიშნა: ყოველი, რაიცა უნდა მოხდეს საერთო თანხმობით უნდა იქმნას გარდაწყვეტილი. უნდა შევნიშნოთ, რომ სომეხთა საქმე დამოკიდებულია იმდენადვე იმათგან, ვისაც ეგ საქმე მიენდობა, რამდენადაც დამოკიდებულია თვით სამართლიან კანონებისაგან. სახელმწიფოები ყოველ ღონეს იხმარებენ, მაგრამ ძირ-გამდგარი ბოროტება ისე ადვილად არ მოისპობა.

გუშინ გარდაიცვალა ოსმალეთის ელჩი რუსტემ-ფაშა.

«დაილი ნიუს» იუწყება, რომ გოლუხოვსკის შემდეგი აზრი მიუწოდებია სახელმწიფოებისათვის: შეიკრიბოს ყველა სახელმწიფოთა ესკადრები ბეზიკის ნავთსადგურში, ძალა დაატანონ დარდანელს და თუ საჭიროება მოითხოვს, შევიდნენ მარმარილოს ზღვაში და სტამბოლი დაიჭირონ. ეს აზრი რუსეთმა სრულიად უარ-ჰყო. საფრანგეთი რუსეთის მაგალითს მიჰყვა გერმანიამ-კი ორჭოფი პასუხი შეუთვალა ავსტრ-უნგრეთს. იტალიის ესკადრა სმირნაში მივიდა.

10 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** 9 ნოემბრის ბიულეტენი აცხადებს, რომ იმპერატრიცა მშვიდობით ბრძანდება. კარგად ბრძანდება აგრეთვე ახლად შობილი ასული მათის უდიდებულესობისა.

«სავაჭრო და სამრეწველო გაზეთი» იუწყება, რომ 12 ნოემბრიდან ყველა ტარიფი ამიერ-კავკასიისა და კასპიის გაღმა მხრისა ბათუმსა და ფოთზე დროებით შეცვლილ იქნება. საქონელი, რომელიც ხსენებულის რიცხვიდან წარდგენილი იქნება უნდა გადატანილ იქნას პეტროვსკით, ხოლო ფასი გადატანისათვის მომატებულ იქნება, რადგანაც ეს გზა უშორესია. 12 ნოემბრამდე-კი ჩაბარებულ საქონელზე, მაინც წინანდელი ფასი გადახდება, თუმცა ნოვოროსიისკზე გაივლის.

კომისია, რომელიც შემდგარია სამეურნეო საბჭოს წევრთაგან და ტყის უწყების წარმომადგენელთაგან ფინანსთა მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით ამ დღეებში გაიხსნა და დაიწყო სჯა.

**ვლადივოსტოკი.** სეულიდან იუწყებიან, რომ მთავრობამ დაითხოვა მეამბოხე ჯარი, რომლის ნაცვლად აარსებს ორს ახალს დივიზიას ევროპიულად გაწვრთნილს. იაპონიის კამისარი გრაფი ინუიე ნოემბრამდე რჩება სეულს, რომელმაც მშვიდობიანობა დაამყარა და ევროპის სახელმწიფოებთან ისევ აღადგინა კეთილი განწყობილება. იაპონიის ლაშქარი კორესა და ლიატონგის ნახევარ-კუნძულს ერთს დროს დაცლის.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოში გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა: სათათრეთიდან მოსულ ამბებიდან არა სჩანს, რომ საფრთხილო რამ იყოსო. სახელმწიფოთა შორის შეთანხმება ნამდვილად მტკიცდება.

**მარსელი.** რუსის კონსულმა გადასცა მერს ხელმწიფე იმპერატორისაგან ნაჩუქარი მხატვრობა, რომელიც რუსის ესკადრის მისვლის სახსოვარია. ამ შემთხვევას დაესწრნენ ქალაქის წარმომადგენელნი, წარმოთქმული იყო უგულითადესი სიტყვები კონსულისა და მერისაგან. ხალხი ვაშათი მიეგება რუსის კონსულს.

*) ეს დეპეშა მაიღო სააგენტომ 9 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათსა და 10 წამზედ.

„ივერიის“ ფოსტა.

—

**ს. რუისს, ნათათრალს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

# განცხადებანი

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ მე-41 ტირაჟში, რომელიც მოხდა 1-ლს ნოემბერს 1895 წ., გამოვიდა შემდეგი გირავნობის ფურცელნი ამა ბანკისა.

(მე-41 ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცელთა ფულის მიღება უნდა დაიწყოს 1896 წლის 1-ლ იანვრიდგან).

1) გირავნობის ფურცელნი, რომელნიც 1881 წლ. 1 იანვრამდე არიან გამოცემულნი. თანახმად (1874 წლ. 28 მაისის წესდებისა—არა ურთიერთის თავდებობით).

100 მან. ღირებულობისა.
27½ წლით.
3 სერ. № 126.
54½ წლით.
5 სერ. № 177.
500 მან. ღირებულობისა.
27½ წლით.
2 სერ. № 9, 53, 62.
3 სერ. № 111, 117, 146.
43½ წლით.
6 სერ. № 3.
54½ წლით.
3 სერ. № 8.
1000 მან. ღირებულობისა.
27½ წლით.
2 სერ. № 114.
3. სერ. № 80.

2) გირავნობის ფურცელნი, რომლებიც 1881 წლ. 1-ლ იანვრიდგან არიან გამოცემულნი (თანახმად 1881 წლ. 17 თებერვლის წესდებისა ურთიერთის თანხმობით).

6% გირავნობის ფურცლები
100 მან. ღირებულობისა.
27½ წლით.
1 სერ. № 91.
2 სერ. №№ 71, 138, 308, 345, 375, 376, 396.
9 სერ. № 76.
11 სერ. №№ 4, 29.
12 სერ. №№ 3, 50, 61.
15 სერ. №№ 37, 436.
20 სერ. №№ 23, 152, 158, 161.
43½ წლით.
1 სერ. №№ 13, 30, 49, 55, 70.
3 სერ. №№ 9, 47.
5 სერ. №№ 31, 43, 77, 94, 136, 160, 172.
7 სერ. №№ 23, 65, 73.
13 სერ. №№ 33, 94.
14 სერ. № 16.
15 სერ. №№ 11, 13, 18, 19, 26, 28, 29, 30, 51, 60, 67, 119.
16 სერ. №№ 11, 27, 91.
21 სერ. №№ 98, 114.
150 მან. ღირებულობისა.
27½ წლით.
1 სერ. №№ 8, 9.
500 მან. ღირებულობისა.
27½ წლით.
1 სერ. № 68.
9 სერ. № 28.
11 სერ. № 13.
12 სერ. №№ 7, 11, 16, 17, 18, 20, 23, 31, 35, 43, 45.
15 სერ. №№ 1, 48, 51, 55, 57, 59, 74, 77, 85, 109.
43½ წლით.
1 სერ. № 9.
7 სერ. № 15.
8 სერ. № 17.
13 სერ. № 33.
14 სერ. №№ 1, 13.
15 სერ. №№ 5, 6, 9, 12, 21, 22, 24, 25, 26, 27, 29, 30.
16 სერ. № 12.
17 სერ. № 2.
18 სერ. №№ 5, 10, 17, 28, 29, 31, 33, 37, 39, 53.
19 სერ. № 19.
20 სერ. № 46.
21 სერ. № 18.
1000 მან. ღირებულობისა.
27½ წლით.
2 სერ. №№ 36, 63, 235, 347, 445, 481, 529, 535, 687, 702.
6 სერ. № 51.
8 სერ. № 26.
9 სერ. №№ 8, 55.
10 სერ. №№ 50, 75.
11 სერ. №№ 1, 4, 17, 24, 34, 43, 49, 50, 72, 77, 81, 83, 90, 93, 94, 104, 106, 114, 124, 128, 130, 138, 143, 154, 155, 161, 162, 163, 166, 169, 173, 176, 179, 182, 185, 186, 188, 200, 202, 205, 213, 215, 219, 223, 238, 245, 246, 252, 254, 256, 257, 263, 264, 274.
12 სერ. №№ 32, 49, 109, 132, 146, 160, 163, 227.
15 სერ. №№ 1, 27, 60, 65, 77, 79, 80, 83, 85, 89, 99, 113, 115, 116, 118, 128, 131, 134, 136, 140, 145, 150, 153, 154, 156, 158, 159, 165, 166, 167, 174, 176, 177, 181, 182, 185, 190, 192, 195, 199, 201, 205, 210, 211, 214, 215, 226, 229, 230, 247, 248, 250, 255, 259.
19 სერ. №№ 30, 62, 66, 143, 145, 203, 295, 409, 471, 522, 524.
20 სერ. №№ 89, 125, 156, 170, 199, 215, 275, 333, 340.
43½ წლით.
1 სერ. №№ 3, 12.
2 სერ. № 41.
3 სერ. № 45.
8 სერ. №№ 8, 19, 41, 73, 77, 83, 112, 116, 206, 284, 285.
14 სერ. №№ 2, 11, 26, 32, 39.
15 სერ. №№ 25, 29, 31, 32, 34, 36, 37, 49, 51.
19 სერ. № 101.
20 სერ. №№ 10, 16.
21 სერ. №№ 5, 7, 17, 20, 21, 47.
22 სერ. №№ 2, 10, 14.

5% გირავნობის ფურცლებისა
100 მან. ღირებულობისა
29 წლ. და 9 თვით.
1 სერ. №№ 12, 74, 99.
36 წლითა და 4 თვით.
1 სერ. №№ 225, 236, 1186, 1873.
უვადონი
№№ 3116, 3911, 4,328.
500 მან. ღირებულობისა
61 წლით და 8 თვით.
№№ 310, 320.
უვადონი
№№ 1470, 1999.
1000 მან ღირებულობისა
36 წლით და 4 თვით.
№№ 231, 307, 540, 606, 629, 921, 1010.
61 წლით და 8 თვით.
№№ 372, 378, 379, 381, 390, 397, 403, 408, 417, 419, 420, 424, 684, 686, 687, 689, 691, 694, 700, 703, 708, 714, 724, 726.
უვადონი
№№ 62, 400, 405, 893, 949, 2118, 1020, 1191, 1341, 2163, 2166, 2167, 2320, 2517, 2529, 2530, 2699, 2739, 2740, 2808, 2105, 3115, 3139, 3143, 3148, 3149, 3228, 3419, 3475, 3515, 3549, 3610, 3620, 3658, 3775, 4019, 4299, 4508, 4551, 4789, 5052, 5078, 5121, 5122, 5372, 5580, 5885, 6034, 6432, 6433, 6509, 7026, 7566, 7585, 7586, 7629, 7949, 8010, 8574, 9152, 9493, 9767, 9770, 9900, 10301, 10332, 10341, 10369, 10370, 10388, 10589, 10699, 10923, 10952, 11010, 11062, 11079, 11111, 11182, 11183.

მე-41 ტირაჟი მოხდა 1895 წლის 1-ლ ნოემბერს ფინანსთა სამინისტროს რწმუნებულისა, ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის გამგეობის დეპუტატთა თანადასწრებით, სულ 368,700 მან. თანხაზედ.

პროცენტების მიმდინარეობა იმ გირავნობის ფურცლებისა, რომლებიც მე-41 ტირაჟში გამოვიდნენ, მოისპობა 1-ლ იანვარს, 1896 წელს. ამ გირავნობის ფურცლების ფულის მიღება დაიწყება 1896 წლ. 1-ლ იანვრიდგან; აღნიშნულ ვადაზედ ადრე წარდგენილები სარგებლიდგან იქმნებიან გამოსულნი.

იმ კუპონებზედ, რომლებიც აკლდება, მათს ღირებულობას დაიჭერენ.

ფულის მიღება ამ გირავნობის ფურცლებისა შეიძლება: ქ. ტფილისს—ბანკის კასსაში, ს. პეტერბურგს—იჭაურს საუჩოტო და გამსესხებელს ბანკში, ლიონის კრედიტსა და ყველა მისს განყოფილებებში, ს. პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკში, ოდესაში—ბ-ნ ო. ხაისთან, მოსკოვში—მოსკოვის საუჩოტო ბანკში, ვარშავას—ვარშავის საკომერციო ბანკში, სახელმწიფო ბანკსა და ყველა მისს კანტორებსა და განყოფილებებში.

## ქ. თელავს

**იაფად ისყიდება ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი** ეზოთი, ბაღჩითა და ქვითკირისავე გალავნით ძირის სართულში მოთავსებულია დუქნები, ხოლო ზევითი სართული მოწყობილია საცხოვრებლად. გორისჯვრის ეკკლესიის პირ-და-პირ, ძველ გალავანში. სყიდვის მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ სახლის პატრონს ამ ადრესით:

Г. Владикавказъ, Александровскій пр., собств. домъ, Давиду Давидовичу Баиндурову.

(8—2023—1).

Дозволено цензурою, Тифлисъ 10-го Ноября 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.